სავალდებულო აღიარებას დაქვემდებარებული ეკონომიკური საქმიანობები

1.**ხორცის გადამუშავება და დაკონსერვება** - საქმიანობის ჯგუფის ნომერი **10.11.0**

(ეს ქვეკლასი შეიცავს: სასაკლაოზე საქონლის, ღორის, ცხვრის, ბოცვერის დაკვლას, ხორცის დამუშავებას, დაფასოებას, გაცივებული ან გაყინული ხორცის წარმოებას, ცხოველური წარმოშობის საკვებად ვარგისი ცხიმების გამოდნობას, ცხოველების შიგნეულის და თავ-ფეხის გადამუშავებას);

2.**შინაური ფრინველის ხორცის გადამუშავება და დაკონსერვება** - საქმიანობის ჯგუფის ნომერი **10.12.0**

(ეს ქვეკლასი შეიცავს: სასაკლაოზე შინაური ფრინველის დაკვლას, ხორცის დამუშავებას ან დაფასოებას, გაცივებული ან გაყინული ხორცის წარმოებას დაყოფილს ნაწილებად, შინაური ფრინველის საკვებად ვარგისი ქონის გამოდნობას);

3.**ხორცის პროდუქტების წარმოება** - საქმიანობის ჯგუფის ნომერი **10.13.0**

(ეს ქვეკლასი შეიცავს: გამოყვანილი, დამარილებული ან შებოლილი ხორცის წარმოებას, ხორცის პროდუქტების: ძეხვის, სალიამის, სოსისის, სერველატის, პაშტეტების, რულეტების, მოხარშული შაშხის, გაყინული ხორცის ნახევარფაბრიკატების წარმოებას);

4.**თევზის, კიბოსნაირების და მოლუსკების გადამუშავება და დაკონსერვება** - საქმიანობის ჯგუფის ნომერი **10.20.0**

(ეს ქვეკლასი შეიცავს: თევზის, კიბოსნაირების და მოლუსკების გაყინვას, გამოშრობას, დამზადებას, შებოლვას, დამარილებას, მარილიან წყალში ჩაწყობას, დაკონსრვებას. თევზის, კიბოსნაირების და მოლუსკების პროდუქტების (თევზის ფილე, ხიზილალა, ხიზილალის შემცვლელები) წარმოებას. ადამიანის მოხმარებისთვის თევზის ფქვილის წარმოებას. ხომალდების საქმიანობას, რომელიც მიმართულია მხოლოდ თევზის გადამუშავებასა და დაკონსრვებაზე. წყლის მცენარეების გადამუშავებას

5.**რძის გადამუშავება და ყველის წარმოება** - საქმიანობის ჯგუფის ნომერი **10.51.0**

(ეს ქვეკლასი შეიცავს: პასტერიზებული, სტერილიზებული, ჰომოგენიზებული ახალი თხევადი რძის წარმოებას. რძეზე დამზადებული სასმელების წარმოებას, ნაღების წარმოებას, რძის ფხვნილის და შესქელებული რძის წარმოებას, კარაქის, ხაჭოს, ნადუღის, იოგურტის, ყველის, მაწვნის, არაჟნის, შრატის, კაზეინის და ლაქტოზის წარმოებას);

6.კვერცხის წარმოება - საქმიანობის ჯგუფის ნომერი **01.47.1**

(ეს ქვეკლასი შეიცავს: კვერცხის დაფასოებას);

7.მეფუტკრეობა, თაფლის წარმოება - საქმიანობის ჯგუფის ნომერი **01.49.1**

(ეს ქვეკლასი შეიცავს: თაფლის და ფუტკრის ცვილის წარმოებას);

8.დასაწყობება და შენახვა - საქმიანობის ჯგუფის ნომერი **52.10.0**

(ეს ქვეკლასი შეიცავს: საწყობ - მაცივრების ექსპლუატაციას).